

მასწავლებელთა პროფესიული მომზადების სისტემები და მათი განვითარების თანამედროვე ტენდენციები*

ქეთევან ჭკუასელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრა

ანოტაცია

მასწავლებელთა სპეციალური პედაგოგიური მომზადება, კაცობრიობის ისტორიაში, პირველად იეზუიტთა ორდენის მიერ იქნა განხორციელებული XVII საუკუნეში. საქართველოში პირველი პედაგოგიური სასწავლებელი შეიქმნა 1866 წელს, რასაც მოჰყვა სხვა სასწავლებლების შექმნა. 1921-დან 1933 წლამდე, მასწავლებლებს სხვა სპეციალურ სასწავლებლებთან ერთად, ამზადებდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი, რაც სავსებით ეთანადება იმ დროინდელ მსოფლიოში არსებულ მასწავლებლის მომზადების სისტემას. 1933 წლიდან, სახელმწიფოს დადგენილებით, იცვლება პედაგოგთა მომზადების სისტემები. კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის კურსადამთავრებულს ენიჭება მასწავლებლის კვალიფიკაცია. ამასთან, იხსნება პედაგოგიური ინსტიტუტები. 1998 წლიდან თსუ-ში ბრძანებით განისაზღვრა პედაგოგიური ციკლის დისციპლინები და პედაგოგიური პრაქტიკის მოცულობა. თსუ ყველა სტუდენტი ვალდებულია მოისმინოს ეს ციკლი, რის შედეგადაც მას ძირითად აკადემიურ კვალიფიკაციასთან ერთად, ენიჭება მასწავლებლის კვალიფიკაციაც. გარდა უნივერსიტეტებისა, საქართველოში მასწავლებლებს ამზადებენ პედაგოგიური უნივერსიტეტები. საქართველოში მასწავლებელთა მომზადების ყველა სასწავლო გეგმა ვერ პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს და საჭიროებს სისტემურ ცვლილებებს.

სტატიაში, უცხოურ ლიტერატურაზე დაყრდნობით, განხილულია მასწავლებელთა პროფესიული მომზადების პრობლემები და განვითარების გზები ევროპის ქვეყნებში.

საკვანძო სიტყვები: მასწავლებელთა სპეციალური პედაგოგიური მომზადება მასწავლებელთა პროფესიული მომზადების პრობლემები.

ზოგი რამ ისტორიიდან

მასწავლებლის სპეციალური პედაგოგიური მომზადების საკითხი პირველად კაცობრიობის ისტორიაში "იეზუიტთა" რელიგიურ სკოლებში დადგა. აღორძინების ეპოქამ, მისთვის დამახასიათებელი ჰუმანისტური პედაგოგიკიდან გამომდინარე, დააყენა ბავშვის აქტიურობისა და თავისუფალი აზროვნების საკითხი, რამაც ძალზე შეასუსტა რელიგიის გავლენა სკოლებზე. ამ ფაქტის საწინააღმდეგოდ, ცდილობდა რა საკუთარი გავლენის შენარჩუნებას, რელიგიამ შექმნა "იესოს საზოგადოება", რომლის განსაკუთრებული ქმედებების შედეგად სკოლების უდიდესი ნაწილი მოექცა იეზუიტთა ხელში. იეზუიტებმა შექმნეს ე.წ. "კოლეგიუმები და სემინარიები", სადაც სასწავლო პროცესი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მანამდე არსებული რელიგიური სწავლებისაგან და აგებული იყო ეპოქისათვის დამახასიათებელი პროგრესული ნიშნებით: ნათელი, დიდი ოთახები, კარგად აღჭურვილი სწავლების საშუალებებით, სწავლისა და დასვენების მონაცვლეობა, ხშირი არდადეგები და დღესასწაულები,

* სტატიას არ აქვს საკითხის სრულყოფილად გაშუქების პრეტენზია, თუმცა, მოკვლეული მასალის მოცულობა იძლევა საშუალებას აღნიშნულ თემატიკაში ზოგადი მიმართულებების გამოკვეთისათვის.

უფასო სწავლება. სწავლების შინაარსს შეადგენდა “შვიდი თავისუფალი ხელოვნება, რომელსაც ემატებოდა გრამატიკა, რიტორიკა, ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია, “ერუდიციის“ კურსი. სწორედ ეს ყოველივე წარმოადგენდა ეპოქის მოთხოვნებს, რითაც იეზუიტები კოლეგიუმებში იზიდავდნენ მმართველი კლასების შვილების უდიდეს ნაწილს. სწავლების პროცესში – იეზუიტები განსაუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ დიდაქტიკური პრინციპების დაცვას, სასწავლო პროცესის დაგეგმვას, მასწავლებლის სახეს, მის ფარისევლურ - რბილ და ჰუმანურ დამოკიდებულებას ბავშვებთან, მიმიკასა და ჟესტიკულაციასაც კი. სწავლების ეს მეთოდიკა, ცხადია, დადებითი მომენტია იეზუიტების კოლეგიუმებისა, მაგრამ ამ ყოველივეს მიღმა, იმალებოდა რელიგიური დოგმების შეფარვით გატარება და დაცვა სასწავლო პროცესში, რომლის უარყოფითი მომენტების გარჩევაზე ამჯერად არ შევჩერდებით.

სასწავლო პროცესისადმი ამგვარი დამოკიდებულება მოითხოვდა ღრმა ცოდნასა და ერუდიციას მასწავლებლისაგან, სწორედაც რომ მის სპეციალურ პედაგოგიურ მომზადებას, რაც განახორციელეს კიდევ იეზუიტებმა XVI-XVIII საუკუნეებში. (9)

საქართველოში მასწავლებელთა პროფესიული მომზადების დაწესებულებებს XIX საუკუნიდან ვხვდებით. XIX საუკუნის I ნახევარში საქართველოს სახალხო სკოლები-სათვის მასწავლებლებს ამზადებდა თბილისის სასულიერო სემინარია (1817 წ), თბილისისა და ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებლები (1846, 1847 წწ) და აგრეთვე, ნაწილობრივ ვაჟთა გიმნაზიები, მაგრამ ეს არ იყო მათი ძირითადი დანიშნულება. ამასთან, მათ არ ჰქონდათ სათანადო პირობები მასწავლებელთა მოსამზადებლად და არც იყო შემუშავებული პედაგოგიური კადრების მომზადების გარკვეული სისტემა.

საქართველოში პირველი სპეციალური პედაგოგიური სასწავლებელი შეიქმნა 1866 წელს. ეს სკოლა გახსნა კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ და სკოლის დანიშნულებას წარმოადგენდა აღნიშნული საზოგადოების სასწავლებლებისათვის მასწავლებელთა მომზადება. მაგრამ სინამდვილეში, ეს სკოლა მასწავლებლებს ამზადებდა განათლების სამინისტროს დაწყებითი სასწავლებლებისათვისაც. სასწავლებელი თავდაპირველად სამი კლასისაგან შედგებოდა, იღებდნენ დაწყებით სკოლადამთავრებულებს. 1871 წლიდან იგი გადაკეთდა საოსტატო სამასწავლებლო ინსტიტუტად და ალექსანდრე II-ის სახელი ეწოდა. სამასწავლებლო ინსტიტუტი ამზადებდა მასწავლებლებს ჯერ ამიერკავკასიის საქალაქო, ხოლო შემდეგ უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლებისათვის. სწავლების ხანგრძლივობა იყო 4 წელი და მიმდინარეობდა რუსულ ენაზე. ქართული ენა არასავალდებულო იყო, კვირეული დატვირთვით 4 სთ. სკოლაში მიღება ხდებოდა საკონკურსო გამოცდების წესით, ირიცხებოდნენ მოსწავლეები, რომელთაც სამაზრო ან საქალაქო სასწავლებლები ჰქონდათ დამთავრებული. სამასწავლებლო სკოლასთან არსებობდა ერთკლასიანი სასწავლებელი, რომელიც შემდგომში ჯერ ორკლასიანად, ხოლო შემდეგ, 1882 წლიდან საქალაქო სასწავლებლად გადაკეთდა. პედაგოგიური ციკლის საგნებიდან ისწავლებოდა პედაგოგიკა, სასკოლო ჰიგიენა და პედაგოგიური პრაქტიკა. ალექსანდრე II-ს სამასწავლებლო ინსტიტუტი ატარებდა რუსეთის პოლიტიკას ამიერკავკასიაში და ცხადია, სწავლების კურსი არ იყო შეფარდებული კავკასიის ადგილობრივ პირობებთან, არასავალდებულოდ ისწავლებოდა ადგილობრივი ენები, ხოლო კავკასიის ისტორია, გეოგრაფია, ეთნოგრაფია საერთოდ არ ისწავლებოდა. მომავალი პედაგოგისათვის, რომელსაც მუშაობა კავკასიაში მოუხდებოდა, სავალდებულო არ იყო ადგილობრივი მხარის, ხალხის, კულტურისა და ენების ცოდნა.

დაწყებითი სკოლებისათვის მასწავლებელთა მომზადების საქმეს საქართველოში ემსახურებოდა გორისა და ხონის საოსტატო სემინარიებიც. გორის საოსტატო სემინარია გაიხსნა 1876 წელს. მის დანიშნულებას შეადგენდა მასწავლებელთა მომზადება ამიერკავკასიის დაწყებითი სკოლებისათვის და ამიტომაც მას “ამიერკავკასიის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარია“ ეწოდებოდა. სწავლების ხანგრძლივობა 4 წელს შეადგენდა, სწავლება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე. სემინარიასთან არსებობდა ქართული, რუსული, სომხური და აზერბაიჯანული დაწყებითი სკოლები, სადაც სემინარიის მოსწავლეები გადიოდნენ პედაგოგიურ პრაქტიკას. ამასთანავე, სემინარიას ჰქონდა ორი საცხოვრებელი პანსიონი - ქრისტიანი და მუსულმანი მოსწავლეებისათვის. საოსტატო სემინარიაში იღებდნენ ორკლასიან დაწყებით სკოლადამთავრებულ მოსწავლეებს. ამას ემატებოდა ერთი წელი მოსამზადებელი და 3 წელი სასწავლო კურსი. ე.ი. სემინარიის კურსდამთავრებულები სულ 8-9 წელი სწავლობდნენ, მაშინ როცა, ვაჟთა და ქალთა გიმნაზიაში სწავლება 11-12 წელი გრძელდებოდა. ამიტომ საოსტატო სემინარია კურსდამთავრებულებს არ ანიჭებდა უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლებას. პედაგოგიური ციკლის საგნებიდან დასაწყისში ისწავლებოდა პედაგოგიკა და პედაგოგიური პრაქტიკა, ხოლო შემდეგ, ცალკეული საგნების სწავლების მეთოდებიც. აღსანიშნავია, რომ საოსტატო სემინარიის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ორწლიან პედაგოგიურ პრაქტიკას. პრაქტიკის პროგრამაში შედიოდა დაწყებითი სკოლის მასწავლებლის მუშაობის შესწავლა, სანიმუშო გაკვეთილების მოსმენა, საცდელი და დამოუკიდებელი გაკვეთილების მომზადება და ჩატარება, სასწავლო დოკუმენტაციის გაცნობა, ასევე, სემინარიელებს ევალუბოდათ დაწყებითი სასწავლებლის სახელმძღვანელოების ანალიზი. სემინარიელების მიერ მეორე წლის ბოლოს ჩატარებული სამი დამოუკიდებელი გაკვეთილის გარჩევა და საბოლოო შეფასება ხდებოდა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, რის შემდეგაც გამოჰქონდათ დადგენილება მოსწავლის გამოსაშვებ გამოცდებზე დაშვებისა, თუ არ დაშვების შესახებ. გორის საოსტატო სემინარია დაიხურა 1918 წ. ამ სემინარიაში სხვადასხვა დროს სწავლობდნენ ვაჟა ფშაველა, ნიკო და თედო რაზიკაშვილები, ლადო აღნიაშვილი, ნიკო ჯანაშია და სხვა.

ხონის საოსტატო სემინარია გაიხსნა 1881 წელს, მას ოფიციალურად ქუთაისის საოსტატო სემინარია ეწოდებოდა. სწავლების ხანგრძლივობა იყო 4 წელი, 1 მოსამზადებელი და 3 ძირითადი. სემინარიასთან არსებობდა დაწყებითი სასწავლებელი, სადაც გადიოდნენ პედაგოგიურ პრაქტიკას. კონტიგენტის შერჩევა, სასწავლო გეგმა და კურსდამთავრებულის სტატუსი ანალოგიური იყო გორის საოსტატო სემინარიისა. დაიხურა 1921 წელს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სხვადასხვა დროს, საქართველოში დაწყებითი კლასების მასწავლებლებს ამზადებდნენ: ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი, პედაგოგიური კურსები, პედაგოგიური კლასები (დამატებითი კლასები საშუალო სასწავლებელში, რომლის დამთავრებისას ენიჭებოდათ “საშინაო მასწავლებლის წოდება, ან დაწყებით სკოლაში და გიმნაზიების დაწყებით კლასებში მასწავლებლობის უფლება), “თბილისის ქალთა პირველი თანრიგის სასწავლებელი“ (1865 წ. ქალთა პირველი ღია პედაგოგიური სასწავლებელი ამიერკავკასიაში, ოლღას სახელობისა, იღებდნენ 8-18 წლის ასაკის გოგონებს, რომლებსაც საშინაო და დაწყებითი კლასების მასწავლებლებად ამზადებდნენ, 1873 წელს გადაკეთდა ქალთა პირველ გიმნაზიად).

საშუალო სკოლებისათვის პედაგოგიურ კადრებს ასევე ამზადებდნენ ქალთა უმაღლეს კურსებზე (1909 წ), ხოლო სამრევლო-საეკლესიო სკოლებისათვის – სასულიერო სასწავლებლებში. საქართველოში ასეთი სასწავლებლები არსებობდა

თბილისში (1817 წ), გორში (1818 წ), თელავში (1817 წ), ქუთაისში (1821 წ), მარტვილში (1830 წ), ოზურგეთში (1877წ). სასულიერო სასწავლებლების მასწავლებლებს ამზადებდა თბილისის (1817 წ) და ქუთაისის (1894 წ) სასულიერო სემინარიები.

XX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს სახალხო განათლების სისტემაში სერიოზული ცვლილებები დაიწყო. 1909 წელს თბილისში, კერძო პირთა ინიციატივით, დაარსდა პირველი უმაღლესი სკოლა – “ქალთა უმაღლესი კურსები“, რომელიც შემდგომში ამიერკავკასიის კერძო ინსტიტუტად გადაკეთდა, იარსება 1920 წლამდე. 1917 წელს, ასევე კერძო ინიციატივით დაარსდა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა), ხოლო 1918 წელს, ივანე ჯავახიშვილის და სხვა ქართველ მეცნიერთა და მოღვაწეთა ინიციატივით, დაარსდა თბილისის უნივერსიტეტი, რომელმაც სათავე დაუდო ეროვნული კადრების მომზადებას საქართველოში. (1,2,3)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თბილისის პირველი სამასწავლებლო ინსტიტუტი 1919 წელს გადაკეთდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპედაგოგო ინსტიტუტად. 1921 წ 29 ივლისს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილებით უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტები გაერთიანდა ერთ პედაგოგიურ ფაკულტეტად, რომელიც გაერთიანების მიუხედავად ორი განყოფილებისაგან შედგებოდა - სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო, თითოეულ განყოფილებას ჰყავდა თავისი თავმჯდომარე და მდივანი. პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანად დამტკიცებულ იქნა პროფ. კ. კველიძე, მდივანად დოც. ზ. ყანჩაველი. 1922 წლის 30 ივნისს უნივერსიტეტთან არსებული საპედაგოგო ინსტიტუტი გადაკეთდა საპედაგოგო ფაკულტეტის *ინსტიტუტად და მისი კურსის გავლა სავალდებულო იყო იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც საპედაგოგო სარბიელზე აპირებდნენ მოღვაწეობას.* აღნიშნულ ინსტიტუტთან გაიხსნა ე.წ. მთლიანი შრომის სკოლის ტიპის საცდელი სკოლა, რომლის ხელმძღვანელობა დაევალია ინსტიტუტის დირექტორს, პროფ. დ. უზნაძეს. 1923 წლის ბოლოს ინსტიტუტი დაიხურა და სტუდენტთა უმრავლესობა პედაგოგიურ ფაკულტეტზე გადავიდა.

1925 წლიდან დაიწყო სახელმწიფოს გენერალური ხაზის გატარება განათლების სფეროში, რამაც ცხადია, უპირველესი დარტყმა თბილისის უნივერსიტეტს მიაყენა. დაიწყო უნივერსიტეტის სტრუქტურის, სწავლების მეთოდებისა და პროფესორ-მასწავლებელთა კრიტიკა. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიურმა სექციამ შეიმუშავა პროექტი, რომლის მიხედვით პედაგოგიური ფაკულტეტის ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და ისტორიის დარგები უნდა გაუქმებულიყო. ამ პროექტის გამო, 1925 წლის შემოდგომაზე ივანე ჯავახიშვილი განათლების სახალხო კომისარიატში გზავნის მოხსენებით ბარათს, რომელშიც წერს: “რატომ უნდა დანგრეული იქნეს პედაგოგიური ფაკულტეტი და განადგურებული ის დიდი მუშაობა და მოღვაწეობა, რომელიც ამ შვიდი წლის განმავლობაში გაწეული იყო და დიდის ენერგიით მოპოვებულია? მასწავლებლის მოწოდება და წოდება იმდენად მაღალი და დიდია, რომ ის ვითარცა მომავალი თაობის აღმზრდელი საუკეთესოდ და ფართოდ უნდა იყოს განათლებული, თავისი სპეციალობის მეცნიერების უკანასკნელი მიღწეულობათა მცოდნე და მისი წარმატების თვალყურის მდევნელი. მხოლოდ ასეთი პირი აასრულებს პირნათლად თავის მოვალეობას. ამიტომ მას შესაფერისი მომზადება უნდა ჰქონდეს და პედაგოგიური ფაკულტეტების პროგრამას გამარტივება კი არა, პირიქით გაფართოება სჭირდება“. ამონარიდი ივანე ჯავახიშვილის წერილიდან, ნათლად გვიჩვენებს დიდი

მეცნიერის დამოკიდებულებას მასწავლებლის პროფესიისა და მისი მომზადების საქმისადმი.

წერილი რეაგირების გარეშე დარჩა. დაიწყო უნივერსიტეტების ფაკულტეტების ინსტიტუტებად დაშლა. 1930 წლის 7 ივლისის დადგენილებით ჩატარდა თსუ-ს რეორგანიზაცია. მის ბაზაზე შეიქმნა 4 სპეციალური სასწავლო ინსტიტუტი. მათ შორის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1930-1931 სასწავლო წელს პედაგოგიურ ინსტიტუტს, ჩამოყალიბების დროს, 6 ფაკულტეტი ჰქონდა: ფიზიკა-მათემატიკის, საბუნებისმეტყველო-ბიოლოგიური და გეოგრაფია-გეოლოგიური. შემდგომში დაემატა: ენისა და ლიტერატურის (ქართული და ევროპული), საზოგადოებრივ-ეკონომიური (ფილოსოფიურ-ისტორიული და ეკონომიური განყოფილებებით), ფილოლოგიურ-პედაგოგიური (პედაგოგიური, სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის განყოფილებებით), სახვითი ხელოვნების. 1930 წლის ნოემბრისათვის პედაგოგიურ ინსტიტუტში 49 პროფესორია, მათ შორის ნ. მუსხელიშვილი, ალ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ს. ხუნდაძე, კ. ბაქრაძე, დ. კაკაბაძე და სხვა. პროფესორთა პირველ კოლეგიას (8 წევრი) მეთაურობს ივანე ჯავახიშვილი. როგორც ვხედავთ, ამ უმძიმეს პერიოდში, სწორედ პედაგოგიურმა ინსტიტუტმა იტვირთა ძირითადი ჰუმანიტარული სპეციალობებისა და დისციპლინების თავმოყრა.

უნივერსიტეტის ბაზაზე ინსტიტუტების შექმნამ წარმოშვა საფრთხე ფუნდამენტური მეცნიერების დარგში მომუშავე ძალთა დაქსაქვისა და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფერხებისა. საბედნიეროდ, ყველაფერი მალე ჩადგა თავის კალაპოტში. 1933 წლის 8 იანვარს საქართველოს სსრ ცაკმა და სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის საფუძველზეც საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტის, საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის და ნაწილობრივ პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე მოეწყო ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამჯერად სწავლების ვადა განისაზღვრება 4-5 წლით და შეიქმნა 5 ფაკულტეტი სხვადასხვა განყოფილებებით და სექციებით (სულ 24 სექცია). (4) უნივერსიტეტში 1930 წლიდან ცალკე ერთეულად არსებული *პედაგოგიკის კათედრა, 1933 წლიდან ემსახურება ყველა ფაკულტეტს და შესაბამისად უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთ ენიჭებათ მასწავლებლის წოდება*. როგორც ვხედავთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თითქმის გახსნის დღიდან, მასწავლებელს ამზადებს სპეციალური ფაკულტეტი და მისი წოდება ენიჭება მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ამ ფაკულტეტს გაივლიან. იმ დროინდელ მსოფლიოში არსებული მასწავლებლის მომზადების სისტემებიც სწორედ ასეა აგებული. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირის და მათ შორის საქართველოს განათლების სისტემაც ძირეულად იცვლება და ატარებს ქვეყნის პოლიტიკის ინტერესებს. მასწავლებლის მომზადების სისტემაც განსხვავებულია მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების სისტემებისაგან, სადაც მასწავლებლებს ამზადებენ უნივერსიტეტებთან არსებული სპეციალური ფაკულტეტები, განყოფილებები და კოლეჯები და მასწავლებლის კვალიფიკაცია ენიჭებათ მხოლოდ იმ პირებს, ვინც თავიანთი სურვილის შესაბამისად გაივლიან აღნიშნულ ფაკულტეტებსა და კურსებს.

1933 წელს მთავრობის დადგენილებით პედაგოგიური ინსტიტუტი გადატანილ იქნა ქუთაისში. ინსტიტუტში შეიქმნა შემდეგი განყოფილებები: 1. ფიზიკა-მათემატიკური განყოფილება; 2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილება; 3. ისტორიული-ლიტერატურული განყოფილება; 4. პედაგოგიურ-პედოლოგიური განყოფილება. სწავლების ვადა პედაგოგიურ ინსტიტუტში 4 წლით განისაზღვრა.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის გახსნას მოჰყვა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პედაგოგიური ინსტიტუტების დაარსება, კერძოდ, გაიხსნა ცხინვალის

(1932 წ), სოხუმის (1932 წ), თბილისის (1935 წ, პუშკინის სახელობის), ბათუმის (1935 წ), გორის (1935 წ), თელავის (1939 წ), ზუგდიდის (1939 წ, იარსება 1952 წლამდე), პედაგოგიური ინსტიტუტები, თბილისის სომხურ-აზერბაიჯანული სამასწავლებლო (1939 წ, რომელიც შემდგომ შეუერთდა თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტებს).

ცალკე უნდა აღინიშნოს მასწავლებლის პროფესიული მომზადება სკოლამდელი აღზრდის სექტორისათვის. XX საუკუნის 20-იან წლებში, საქართველოს იმჟამინდელმა სახალხო განათლების კომისარიატმა თბილისსა და სხვა რვა ქალაქში დააარსა პედაგოგიური სასწავლებლები, რომლებსაც უნდა მოემზადებინათ სკოლამდელი დაწესებულებების აღზრდის და დაწყებითი კლასების მასწავლებლები. თბილისის პედაგოგიური სასწავლებელი 1923 წელს დაარსდა და მას თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი ეწოდა, სწავლების ხანგრძლივობა 4 წელი იყო. შემდგომში ინსტიტუტი ორად გაიყო და მასთან ერთად ჩამოყალიბდა ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. ამ დროიდან, 1935 წლიდან, პედაგოგიურ ინსტიტუტს იაკობ გოგებაშვილის სახელი ეწოდა და იგი ბოლო წლებამდე ემსახურებოდა სკოლამდელი აღზრდისა და დაწყებითი სკოლის მასწავლებლების მომზადებას საქართველოში. XX საუკუნის 90-იან წლებში ინსტიტუტი უმაღლეს სასწავლებლად გადაკეთდა და მას “თბილისის დავით გურამიშვილის სახელობის სახელმწიფო უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებელი“ ეწოდება. დღეს სასწავლებელი ამზადებს სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტებს, დაწყებითი სკოლის და საშუალო სკოლის ზოგიერთი საგნის მასწავლებლებს, სპეციალური პედაგოგებისა (ლოგოპედიის და სხვა) მასწავლებლებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში არსებობდა პედაგოგიური ტექნიკუმები (თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმი, საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი), რომლებიც ამზადებდნენ დაწყებითი სკოლისა და არასრული საშუალო სკოლის (IV-VIII) კლასების ფიზკულტურის, ხატვისა და ხაზვის მასწავლებლებს, პროფესიული სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატებს. მიიღებოდნენ საშუალო სკოლა- და რვაკლასდამთავრებულები. რვაკლასდამთავრებულთათვის სწავლა 3-4 წელი იყო, პარალელურად ეუფლებოდნენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის კურსს. საშუალო სკოლადამთავრებულთათვის სწავლა 2 წელი იყო. პედაგოგიური ტექნიკუმების კურსდამთავრებული დიპლომს, რომელიც უფლებას აძლევდა, ემუშავა შესაბამის თანამდებობაზე, ან გაეგრძელებინა სწავლა ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში კონკურსში მონაწილეობის შედეგად. ბოლო წლებში პედაგოგიური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, რადგან მათი ფუნქცია პედაგოგიურ ინსტიტუტებს დაეკისრა.

საქართველოში ამჟამად არსებული მასწავლებლის პროფესიული მომზადების სისტემები

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოხდა საქართველოში არსებული სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტების რეორგანიზაცია და მათ პედაგოგიური უნივერსიტეტები ან უბრალოდ, უნივერსიტეტები ეწოდათ. შესაბამისად შეიცვალა მათი სასწავლო გეგმებიც. გარდა ამისა, გაჩნდა ძალზე ბევრი არასახელმწიფო ინსტიტუტი და დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, რომლებიც ამზადებენ სკოლამდელი აღზრდის, დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებლებს. ამასთანვე დღემდე მასწავლებელთა მომზადების უმნიშვნელოვანეს კერად, ცხადია, რჩება თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამგვარად, საქართველოში მასწავლებელთა პროფესიული მომზადება ძირითადად უნივერსიტეტებში ხდება, რაც თითქოსდა ამაღლებს მასწავლებლის პროფესიულ პრესტიჟსა და მომზადების დონეს. **მაგრამ ამ პროცესებს უარყოფითი მომენტებიც ახლავს. კერძოდ, საუნივერსიტეტო მომზადების საერთო სისტემაში მასწავლებლის მომზადება რიგით მოვლენად იქცა და ამ პროცესმა შეამცირა განსაკუთრებული ყურადღების დათმობა ამ მეტად საპატიო პროფესიისადმი.** ხშირ შემთხვევაში უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტები და სტუდენტები პედაგოგიური ციკლის საგნებს არასპეციალურ საგნებად მიიჩნევენ და გადატვირთული სასწავლო გეგმების პირობებში, ყოველნაირად ცდილობენ ამ საგანთა დატვირთვების შემცირებას. ასევე უარს ამბობენ პედაგოგიური პრაქტიკების განსაზღვრულ ვადებში ჩატარებაზე, იმიზეზებენ რა სასწავლო გეგმის გადატვირთვას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სერიოზული ღონისძიებები გაატარა ამ პრობლემების მოსაგვარებლად, გამოიცა სპეციალური ბრძანება (23.06.98 წ. ¹163) პედაგოგიური ციკლის საგნებისა და პედაგოგიური პრაქტიკის მკაცრად განსაზღვრულ ვადებში ჩატარების შესახებ, რომელიც უნდა დასრულებულიყო კრესითი სახელმწიფო გამოცდით პედაგოგიკაში. ამ დროიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს დიპლომში მასწავლებლის წოდება ცალკე, მეორე პროფესიად აღენიშნება. ამასთან, მაგისტრატურაში შემოტანილი იქნა სავალდებულო კურსი “უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა დარგის სწავლების მეთოდით” და შესაბამისად პედაგოგიური პრაქტიკა უმაღლეს სკოლაში. ყოველივე ეს მოწმობს, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ღრმად აქვს გაცნობიერებული პროფესიონალი მასწავლებლის მომზადებისათვის სპეციალური ზრუნვის საჭიროება და ამ საქმის სირთულე და მნიშვნელობა. მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ ფიქრობს მავანი და მავანი. ისინი არად დაგიდევნენ ამ საპატიო წოდებას და თვლიან, რომ მთავარია რომელიმე დისციპლინის კარგად ცოდნა, მასწავლებლობას პრაქტიკითაც ისწავლი. მაგრამ ამ პრაქტიკას, ხომ თაობების აღზრდა ეწირება, და რაც მთავარია, რომელი პრაქტიკა არსებობს თეორიის გარეშე?! ჩვენ შეგნებულად მოვიტანეთ ისტორიული ექსკურსი მასწავლებლის პროფესიული მომზადების სისტემების შესახებ. გვინდოდა ზოგიერთებისათვის ნათლად დაგვეჩვენებინა, რომ ამ საქმეს ისტორიული ფესვები აქვს და იგი დღესაც სრულყოფას და განვითარებას მოითხოვს.

ამ ყოველივეს ემატება ის გარემოება, რომ რეალობა, ცხოვრება შეიცვალა. შესაბამისად, ცვლილებები მოითხოვს სკოლამ და დაიწყო კიდევ სკოლის რეფორმა. ახალი სკოლა ახლებურად მომზადებულ მასწავლებელს მოითხოვს, რომელიც უნდა ფლობდეს სწავლების ახალ ფორმებსა და მეთოდებს, რომელიც მომზადებული უნდა იყოს ახალი მოთხოვნების შესაბამისი სტანდარტებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მასწავლებლის მომზადება ძველი სტანდარტებითა და სტრუქტურით უკვე აღარ შეიძლება. მაშასადამე, აუცილებლობით დგება ცვლილებების შეტანის საკითხი მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადების პროცესში, რაც ჩვენი აზრით, გადაუდებელი პრობლემაა და მისკენ უნდა იყოს მიმართული უნივერსიტეტების ხელმძღვანელების, პროფესორ-მასწავლებლების, პედაგოგიური დარგების სპეციალისტებისა და მთელი საზოგადოების ყურადღებაც კი. მასწავლებელი ხომ მომავალი თაობის უპირველესი აღმზრდელია და რაც უფრო ერუდირებული, თანამედროვე სტანდარტების დონის იქნება იგი, მით უფრო უკეთესი იქნება ჩვენი მომავალი თაობა და შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის მომავალიც.

დღეს საქართველოში არსებული მასწავლებელთა მომზადების სისტემები წარმოდგენილია შემდეგი ცხრილის (¹1) სახით:

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა მომზადების სისტემებში ჩადებულია შესაბამისი უნივერსიტეტების ავტონომიურობის პრინციპები და ამდენად, ეს სისტემები არაუნიფიცირებული და განსხვავებულია. ეს ჩვენი განათლების სისტემის დემოკრატიული მონაპოვარია. მაგრამ ამ მონაპოვარს თავისი ნაკლოვანი მომენტებიც გააჩნია. ნებისმიერი პროფესიის, და მათ შორის, მასწავლებლის პროფესიის საგანთა ციკლის განსაზღვრას მკაცრად დასაბუთებული მეცნიერული საფუძველი უნდა ჰქონდეს და ყოვლად დაუშვებელია ამ გეგმის შედგენაში თავი იჩინოს საკუთარი სურვილების, შეხედულებებისა და სტიქიურობის მომენტებმა. ზემოთ მოტანილი ცხრილის ანალიზით, დავრწმუნდებით, რომ ნაწილობრივ, სწორედ ამ მოვლენებთან გვაქვს საქმე. თუ ახალი სტანდარტებით ვიმსჯელებთ (და თუნდაც ძველითაც), ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს ზოგადი პედაგოგიკის, ზოგადი ფსიქოლოგიის, ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის და პედაგოგიური პრაქტიკის დატვირთვები და მოცულობა. არც ერთი მასწავლებლის მასწავლო გეგმა არ პასუხობს თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებულ საგანთა ნუსხას, პედაგოგიური პრაქტიკის მოცულობასა და ჩატარების მეთოდიკას.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ერთი უნივერსიტეტის ფარგლებში, ყოვლად დაუშვებელია პედაგოგიური ციკლის საგნების განსხვავებული სისტემა და დატვირთვები, რასაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა, თითქმის ყველა უნივერსიტეტში ვხვდებით. აქ მოტანილი მონაცემები წარმოადგენს იმ ზოგად მაჩვენებლებს, რომელიც უმეტეს ფაკულტეტებზე გვხვდება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ფაკულტეტების მიხედვით თითქმის არ შეგვხვდრია ორი იდენტური მაჩვენებელი ყველა საგანში. ამ გარემოებამ ძალზე გაგვირთულა მასწავლებლის მომზადების სისტემის კონკრეტული პირობების წარმოჩენა ცალკეული უნივერსიტეტების მიხედვით. მიუხედავად ამ სიტუაციისა, მაინც გამოიკვეთა რამდენიმე ზოგადი ტენდენცია, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა განხორციელდეს მასწავლებელთა მომზადების საუნივერსიტეტო სისტემაში:

1. მასწავლებლის პროფესიის მინიჭება უნდა ხდებოდეს არა უნივერსიტეტების ყველა სტუდენტისათვის, არამედ მხოლოდ მათთვის, ვისაც ამის სურვილი და მონაცემები აქვს. ეს გარემოება გამოიწვას ამ პროფესიისადმი ზერელე, მეორეხარისხოვან დამოკიდებულებას და თითოეული სტუდენტის პროფესიული-პედაგოგიური დონე ამაღლდება;

2. თითოეული უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ მკაცრად უნდა დადგინდეს პედაგოგიური ციკლის საგნების ნუსხა და მათი საათობრივი დატვირთვა ამ უნივერსიტეტის მოთხოვნებიდან გამომდინარე მასწავლებლის მომზადების მეცნიერული პრინციპების დაცვით. დადგენილი ციკლი სავალდებულო უნდა იყოს ყველა იმ სტუდენტისათვის, ვინც აირჩია მასწავლებლის პროფესია;

3. მომწიფდა სიტუაცია მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადების სისტემის გარდაქმნისა თანამედროვე სტანდარტების დონეზე, რაც გულისხმობს უნივერსიტეტებში არსებული პედაგოგიური ფაკულტეტების, პედაგოგიური განყოფილებების, პედაგოგიური კოლეჯებისა და სხვა პედაგოგიური სისტემების სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბებას.

ამრიგად, თუ მასწავლებელთა პროფესიული მომზადების ისტორიას გავანალიზებთ, ცხადი გახდება, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ამჟამად ამ სფეროში მსოფლიოში არსებული ტენდენციების მოგვარების ტრადიციული გამოცდილება გააჩნია.

მასწავლებელთა პროფესიული მომზადების თანამედროვე სისტემები ევროპის ქვეყნებში

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მომხდარი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცვლილებები უპირველესად საშუალო და უმაღლესი სკოლის განათლების შინაარსის ცვლილებებში უნდა აისახოს. ამიტომაც დაიწყო აქტიურად ყველა ტიპის სკოლის სტრუქტურული თუ შინაარსობრივი მხარეების გარდაქმნები. სკოლის რეფორმის ძირითადი გამტარებელი, სხვა საზოგადოებრივ უწყებებსა და მთელ საზოგადოებრიობასთან ერთად, ცხადია მასწავლებელია. ამიტომ დღის წესრიგში დადგა ახალი ტიპის მასწავლებლის მომზადება, ისეთი მასწავლებლისა, რომელიც საბაზისო აკადემიური და პროფესიული (პედაგოგიური) ცოდნის დონიდან გამომდინარე, არა თუ ფებს აუწყობს საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებს, არამედ თავად გახდება აქტიური მონაწილე ამ პროცესებისა. შესაბამისად, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, საჭირო გახდა მასწავლებელთა პროფესიული მომზადების სისტემების გადასინჯვა და მათი თანამედროვე მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამ საკითხებს მიეძღვნა, მაგალითად, კონფერენცია თემაზე (2000 წლის 22-23 მაისს ლული/პორტუგალია) “ევროგაერთიანებაში მასწავლებელთა განათლების პოლიტიკისა და ხანგრძლივი (ცხოვრების მანძილზე) სწავლების ხარისხი“. ამავე საკითხებს ეძღვნება არიზონის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალისტების მიერ შედგენილი სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალი (რედაქტორი ჯენ ვ. გლარი) და სხვ. მასწავლებელთა პროფესიული მომზადების არსებული სისტემების ანალიზისა და მომავლის მიზნების გამოკვეთის შედეგად, ევროგაერთიანების ქვეყნები შეთანხმდნენ მასწავლებლის მომზადების სისტემის ძირითად პრინციპზე, კერძოდ, იმ პოზიციაზე, რომ “მასწავლებელთა განათლების სისტემა აღქმული უნდა იყოს, როგორც ღია და დინამიური სისტემა. მასწავლებელთა განათლების მთელი სისტემა (რაც მოიცავს მასწავლებელთა განათლების პოლიტიკებს) უნდა ჩამოყალიბდეს როგორც სისტემა, ანუ საზოგადოება, რომელიც მუდმივი სწავლის პროცესში იმყოფება, და ეს უნდა მოხდეს როგორც ადგილობრივ, ასევე “ეროვნულ“ და საერთოდ ევროპულ დონეზე.” (6) ამასთან, ევროგაერთიანების რიგმა ქვეყნებმა აღნიშნეს, რომ განსაკუთრებით სწრაფად ცვალებადი გარემოსა და გაურკვევლობის პირობებში საუკეთესო გამოსავლის შემუშავება მოითხოვს მუდმივ თანამშრომლობას და აზრთა გაცვლა-გამოცვლას, მასწავლებელთა განათლების, როგორც უწყვეტი პროცესისა და სისტემის რეფორმის აუცილებლობას. მასწავლებელთა განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიონალურ განვითარებას მათი კარიერის ყველა ეტაპზე. ხოლო მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების პროცესი მოიცავს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ კომპონენტებს:

- მასწავლებელთა საწყის განათლებას.
- საწყის ლიცენზირებას ან სერტიფიცირებას.
- დამწყებ მასწავლებელთან მუშაობას.
- სამუშაო ადგილზე განათლებას (უწყვეტი პროფესიონალური განვითარება).
- შემდგომ განათლებას (მასწავლებელთა მიერ თავისი მუშაობის შემდგომ დახვეწას).
- უფრო მაღალი დონის სერტიფიკაციის მიღების შესაძლებლობას.
- პროფესიული განვითარების მჭიდროდ დაკავშირებას განათლების ინოვაციებთან (სკოლის პირობების გაუმჯობესება და სკოლის განვითარება).
- განათლების კვლევასა და განვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ პრინციპში არსებობს ზოგადი შეთანხმება მასწავლებელთა განათლების ამგვარი კონცეფციის დინამიურობის შესახებ, ევროპაში მხოლოდ რამდენიმე ქვეყანამ დაიწყო, ცოტა ხნის წინ, მასწავლებელთა განათლების დინამიური სისტემების ჩამოყალიბება. აშშ-სა და კანადაში კი, სწავლებისა და ამერიკის მომავლის ეროვნული კომისიის რეკომენდაციებზე დაყრდნობით, სისტემატური ხასიათი მიიღო რეფორმების ჩატარებამ მასწავლებელთა მომზადების პროცესებში.

ამჟამად, მასწავლებელთა პროფესიული მომზადების პროცესში, ევროგაერთიანების ქვეყნებში იკვეთება შემდეგი პრობლემები:

1. არ არსებობს მასწავლებელთა განათლების ერთიანი უწყებები. უმაღლესი განათლების დონეზე მასწავლებელთა საწყისი განათლება, როგორც წესი, იყოფა დამოუკიდებელ განყოფილებებად და ფაკულტეტებად (მაგ., პროფესიონალური პედაგოგიური ციკლის სწავლების განყოფილება, საგნების მიხედვით სხვადასხვა განყოფილებებზე სწავლება) და სკოლებში პედაგოგიური პრაქტიკა/სწავლება. არ არის ნათლად გამოკვეთილი ამ განყოფილებების ვალდებულებები მასწავლებელთა განათლების პროცესში, მასწავლებლის მომზადების სისტემებში არ არის ერთიანობა. ევროგაერთიანების უმრავლესმა წევრმა ქვეყანამ მასწავლებელთა საწყისი განათლება გადაიტანა უმაღლესი განათლების დონეზე, მაგრამ ყველას არ მიუნიჭებია მასწავლებელთა განათლების დაწესებულებებისათვის უნივერსიტეტის სტატუსი. ამის გამო მასწავლებლების უმრავლესობას არა აქვს საშუალება მიიღოს აღიარებული აკადემიური ხარისხი (მაგ., ბაკალავრის, მაგისტრის).

2. ევროპის ქვეყნების უმეტესობაში არ არსებობს მასწავლებლების საწყისი სერტიფიცირებისათვის მკაფიოდ ჩამოყალიბებული როლები, ამოცანები და კვალიფიკაციების აღწერილობა.

3. მასწავლებელთა განათლების სექტორის ძირითადი სასწავლო პროგრამები შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც “სხვადასხვა პრინციპზე დაყრდნობილი პროგრამა ანუ კონგლომერატი, რომელიც შედგება თავისუფლად დაჯგუფებული კომპონენტებისაგან. მასწავლებელთა განათლების სექტორის სასწავლო პროგრამები, როგორც ჩანს, ეფუძნება გრძელვადიან ტრადიციებს, თვალთახედვასა და მრწამსს და არა ემპირიულ არგუმენტებს, მასწავლებელთა განათლების სასწავლო პროგრამები არ გამხდარა ძირეული რეფორმის საგანი, რაც ასე მნიშვნელოვანია ამ მუდმივად ცვალებად სამყაროში.

4. არ არის მჭიდრო კავშირი მასწავლებელთა მომზადების პროგრამებსა და სკოლის შესაბამისი დონის საგნებს შორის.

5. მასწავლებელთა განათლების სასწავლო პროგრამა ძირითადად მიმართულია აკადემიური დისციპლინების მცირე რაოდენობიდან გარკვეული მეცნიერული ცოდნის მიღებისაკენ და მასში მცირე ყურადღება ეთმობა პრაქტიკულ მეთოდებს, კერძოდ სწავლება/სწავლის პროცესებს.

6. არ ხდება მასწავლებელთა განათლების სისტემის ცალკეული კომპონენტების ინტეგრაცია, როგორც წესი არ წარმოებს პროფესიონალური (პედაგოგიური) სწავლებისა და სხვადასხვა საგნებთან დაკავშირებული დიდაქტიკის, სხვადასხვა დისციპლინებში აკადემიური სწავლების, სასწავლო პრაქტიკის და კვლევისა და განვითარების გაერთიანება თანმიმდევრულ სასწავლო პროგრამაში.

7. შეიმჩნევა სასწავლო – პედაგოგიური პრაქტიკის უგულვებელყოფა (მცირე მოცულობით და არასრულყოფილად) ახალბედა მასწავლებლებთან მუშაობისას, ასევე უწყვეტი პროფესიონალური ზრდის პერიოდში.

8. არ არსებობს დამწყებ მასწავლებელთა მუშაობის რგოლი, არ ხდება მათთვის სკოლის პროფესიონალური კულტურის გაცნობა.

9. არ არსებობს უწყვეტი პროფესიონალური განვითარების შესაბამისი ინფრასტრუქტურები.

10. დასახვეწია საწყისი, სერტიფიცირება/ლიცენზირების, შემდგომი სერტიფიცირებისა და მასწავლებელთა საწყისი განათლების აკრედიტაციის საკითხები.

11. ევროპის ქვეყნების უმეტესობაში არ არსებობს მასწავლებელთა განათლების სისტემაში მომუშავე კადრების თანმიმდევრული განათლება და მომზადება.

გაანალიზეს რა მასწავლებლის განათლების პროცესში არსებული პრობლემები, ევროპის რიგმა ქვეყანებმა ჩაატარეს სერიოზული რეფორმები მათ გადასაწყვეტად. კერძოდ, გამოიკვეთა მასწავლებელთა პროფესიული მომზადების პრინციპები:

- უნივერსიტეტზე დაფუძნებული მასწავლებელთა განათლება (მათ შორის, დაწყებითი სკოლის მასწავლებლის მომზადება და ამ ეტაპის ხანგრძლივობის გაზრდა).
- მასწავლებელთა განათლების სასწავლო პროგრამებში მასწავლებელთა პრაქტიკის კომპონენტის შეტანა.
- მასწავლებელთა საწყისი განათლების ეტაპზე მიღების კრიტერიუმების ამაღლება.
- პროფესიონალური (პედაგოგიური, მეორადი დონის განათლების) და აკადემიური (დაწყებითი დონის განათლების) კომპონენტების შეტანა.
- ზედა, მეორადი დონის სპეციალური განათლების (მათ შორის, ტექნიკური და ეკონომიკური) მასწავლებელთა მომზადების ახალი ფორმების ჩამოყალიბება.
- განათლების ფართო მასშტაბიანი სისტემების ჩამოყალიბება.
- მასწავლებელთა განათლების კვლევა და განვითარება.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად, ამჟამად, მსოფლიოს მასშტაბით მოქმედებს მასწავლებელთა განათლების შემდეგი მოდელები:

I მოდელი – პარალელური, ანუ შერწყმული განათლება, რაც ნიშნავს იმას, რომ სტუდენტი სწავლობს რომელიმე ძირითად ფაკულტეტზე და თავისი სურვილის მიხედვით, ძირითადი ფაკულტეტის პარალელურად, ირჩევს მასწავლებლის პროფესიას და ასრულებს განათლების ფაკულტეტების კურიკულუმს როგორც თეორიულ საგნებში, ისე პედაგოგიურ პრაქტიკაში. ეს მოდელი თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს და ძალიან ფართოდ გამოიყენება. ამასთან, შესაბამისმა კვლევამ დაადასტურა, რომ მასწავლებლის მომზადება ამ მოდელით, ძირითადად დამაკმაყოფილებელია.

II მოდელი – თანმიმდევრული, ანუ მიმდევრობითი მოდელი. ამ მოდელში გვხვდება ვარიანტები: ა) პირველი ვარიანტი – მას შემდეგ, რაც სტუდენტმა დაამთავრა უმაღლესი სკოლა და არ აირჩია მასწავლებლის პროფესია, მას საშუალება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში ინტენსიური დატვირთვით გაიაროს მასწავლებელთა განათლების კურიკულუმი და მიიღოს შესაბამისი განათლების სერტიფიკატი, ბ) მეორე ვარიანტი – სტუდენტი იღებს თეორიულ განათლებას უნივერსიტეტში, მათ შორის პროფესიულ და მეთოლოგიურ საგნებში, აბარებს შესაბამის სახელმწიფო გამოცდას და შემდეგ 1 წელი გადის პრაქტიკულ სწავლებას სკოლაში. ამასთან კვირის 4 დღეს ატარებს სკოლაში და 1 დღეს უნივერსიტეტში, სადაც ხდება პრაქტიკული სწავლების ანალიზი.

III მოდელი – ეს არის ე.წ. “მოდულებზე” (ერთეულებზე) აგებული მოდელი. იგი ითვალისწინებს მასწავლებელთა მომზადების სტანდარტებზე აგებულ მოდულებს. სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა დროს სტუდენტს შეუძლია შეასრულოს სხვადასხვა

მოდული და შეავსოს შესაბამისი სტანდარტი, რის შემდეგაც ხდება სერტიფიცირება. (ნაკლებად გამოიყენება).

IV მოდელი – ინტეგრირებული მოდელი – სტუდენტი მასწავლებლის განათლებას ღებულობს არა ერთ, არამედ ინტეგრირებულ სისტემაში მასწავლებლის სტანდარტის ამა თუ იმ ნაწილის შესასრულებლად.












ქვემოთ მოტანილ ცხრილ 12-ში წარმოდგენილია მასწავლებლეთა მომზადების სისტემები ევროპის იმ ქვეყნებში, რომლებმაც დაიწყეს რეფორმები აღნიშნულ სფეროში.

1	სასწავლებლის დასახელება	ზოგადი ფსიქოლოგია (სთ)		პედაგოგიკა (სთ)		პედაგოგიკის ისტორია (სთ)		ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია (სთ)		საგნის სწავლების მეთოდოლოგია (სთ)		პედაგოგიური პრაქტიკა (სთ)	სწავ. ხანგრ. (წელი)	სახ. გამოც. პედაგოგიაში	კვალიფიკაცია	შენიშვნა
		ლექ.	სემინ.	ლექ.	სემინ.	ლექ.	სემინ.	ლექ.	სემინ.	ლექ.	სემინ.					
1.	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	16	-	32	-	-	-	32	-	32	-	144 6-8 კვირა	4	-	საშ. სკოლის მასწ.	
2.	სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი	36	36	34	16	66	17	24	10	52	105	12-14 კვირა	5	+	საშ. სკოლის მასწ.	
		40	26	70	62	60	40	46	42	400	441	12-14 კვირა	5	+	დაწ. სკოლის მასწ.	
3.	თბილისის სპორტის აკადემია*	9	11	9	11	16	20	17	19	60	50	5 კვირა	4	-	საშ. სკოლის ფიზ. მასწ.	სოც. პედაგ სპორ. ფსიქო.
4.	თბილისის ილია ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის სახ. უნივერსიტეტი	25	-	25	-	-	-	25	-	75	-	240	4	+	საშ. სკოლის უცხო ენების მასწ.	
5.	ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი	16	-	20	10	14	10	16	-	50	42	-	5	+	საშ. სკოლის მასწ.	ანიჭებს რამდენიმე ფაკულტეტი
		16	-	62	30	-	-	16	-	60	20	-	5	+	დაწ. სკოლის მასწ.	
6.	ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი	16	16	24	24	8	8	16	16	32	-	6-8 კვირა	4	- +	საშ. სკოლის მასწ.	სახ. გამოცდა
		16	16	68	62	-	-	16	16	92	76	12 კვირა	4	+	დაწ. სკოლის მასწ.	ზოგიერთ ფაკულტეტზე

7.	თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (არასახელმწიფო)	24	24	18	18	18	18	-	-	24	24	144	4	-	საშ. სკოლის მასწ. დაწ. სკოლის მასწ.	ანიჭებს რამდენიმე ფაკულტეტი
		24	24	36	36	36	36	-	-	36	36	144	4	+		
8.	რუსთავის დამოუკიდებელი ინსტიტუტი (არასახელმწიფო)	32	32	16	16	16	16	-	-	32	32	8 კვირა	4	+	საშ. სკოლის მასწ. დაწ. სკოლის მასწ.	ანიჭებს რამდენიმე ფაკულტეტი
		32	32	32	32	32	32	-	-	32	32	14 კვირა	4	+		
9.	თბილისის დ. გურამიშვილის სახელობის სახელმწიფო უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებელი	32	30	32	30	40	22	32	30	116	34	10 კვირა	5	+	საშ. სკოლის მასწ. დაწ. სკოლის მასწ. სკოლამ. დაწ. აღმზრდელი	ანიჭებს რამდენიმე ფაკულტეტი
		32	32	32	32	32	32	32	32	300	224	10 კვირა	5	+		
		24	20	150	150	50	50	32	32	200	226	10 კვირა	4	+		
10	თბილისის მასწ. გადამზადების ცენტრ ინსტიტუტი	35	35	35	35	-	-	-	-	60	30	2 კვირა	1	+	საშ. სკოლის მასწ. დაწ. სკოლის მასწ.	მასწ მომზად. მიმდევრობითი მოდელი
		35	35	35	35	-	-	-	-	70	70	4 კვირა	1	+		

1	სკოლამდელი და დაწყებითი სკოლის მასწავლებელი				დაწყებითი და არასრული სამ სკოლის მასწ.				საშუალო სკოლის მასწავლებელი				
	ქვეყანა	სასწავლო დაწესებულება	მიღების პირობა	სწ-ის ხანგრძ.	მსასწ-ის მომზად მოდელ.	სასწავლო დაწესებულება	მიღების პირობ.	სწ-ის ხანგრძ.	მსასწ-ის მომზად. მოდელ.	სასწავლო დაწესებულება	მიღების პირობ.	სწ-ის ხანგრძ.	მსასწ-ის მომზად. მოდელ.
1.	ავსტრია	სკოლამდელი _ ინსტიტუტები, რომლებიც სამ. სკოლის უფროსი კლასების ექვივალენტურია	არასრული სამ. განთ. სერტიფიკატი	3 წელი	-	განათლების კოლეჯი, უნივერსიტეტი	სამ. გან. სერთიფიკატი (12 წ.)	3 წელი 168 კვირა " - "	პარალ. ინტეგ. " - "	უნივერსიტეტი, ხელოვნებისა და მუსიკის აკადემია	სამ. გან. სერთიფიკატი (12 წ.)	4,5 წელი +1 წელი პრაქტიკა	პარალ. ინტეგ.
2.	ბელგია	განათლების კოლეჯი	სამ. გან. სერთიფიკატი 12 წელი	3 წელი	ინტეგრირებ. პარალელური	განათლების კოლეჯი	სამ. გან. სერთიფიკატი 12 წელი	3 წელი	ინტეგრირება პარალელური	უნივერსიტეტი, ბიზნეს სკოლა	სამ. გან. სერთიფიკატი 12 წელი	250-400 სთ	მიმდევრობითი პარალელური
3.	დანია	ინტეგრირებული კოლეჯი (მასწ. სოც. მუშაკი)	სამ. გან. სერთიფიკატი 12 წელი	3,5 წელი	პარალელური	განათლების კოლეჯი	სამ. გან. სერთიფიკატი 12 წელი	4 წელი	პარალელური	უნივერსიტეტი, საუნივერსიტეტო ცენტრი განათლ-ის სფეროს სამეფო დანიური სკოლა	სამ. გან. სერთიფიკატი 12 წელი	4-6 წელი 4+3	პარალელური
4.	გერმანია	-	-	-	-	უნივერსიტეტი, უმაღლ. განათ. ინსტიტუტი	სამ. გან. სერთიფიკატი 13 წელი	3,5 წელი (6 სემ.) 1,5-2 წ. სტაჟირ.	პარალელური	უნივერსიტეტი	სამ. გან. სერთიფიკატი 13 წელი	4 წელი (8 სემეს.) +2 წ. სტაჟირ.	პარალელური
5.	ინგლისი უელსი	დაწყ. სკოლა, განათ. კოლეჯი	სამ. გან. სერთიფიკატი 13 წელი	2 წელი	-	უნივერსიტეტი, განათ-ის კოლეჯი	სამ. გან. სერთიფიკატი 13 წელი	3-4 წ. აკადემ. +1 წ. გან. სფერ. 4 წელი	მიმდევრობითი პარალელური	უნივერსიტეტი განათ-ის კოლეჯი	სამ. გან. სერთიფიკატი 13 წელი	4 წელი 180 კრედ. გან. დარგ. აქედან 45 სკოლ.	პარალელური მიმდევრობითი (2+2)
6.	ირლანდია	განათლების კოლეჯი		3 წელი	პარალელური მიმდევრობითი	განათლების კოლეჯი	სამ. გან. სერთიფიკატი 12 წელი	4 წელი	პარალელური მიმდევრობითი	უნივერსიტეტი	სამ. გან. სერთიფიკატი 12 წელი	4 წელი	პარალელური მიმდევრობითი
7.	შვედეთი	განათლების კოლეჯი	სამ. გან. სერთიფიკატი	140 კრედიტი	პარალელური მიმდევრობითი	უნივერსიტეტი, განათლების კოლეჯი	სამ. გან. სერთიფიკატი	140 კრედიტი	პარალელური მიმდევრობითი	უნივერსიტეტი	სამ. გან. სერთიფიკატი	180 კრედიტი	პარალელური მიმდევრობითი
8.	ფინეთი	უნივერსიტეტი ან შესაბამისი დონის კოლეჯი	სამ. გან. სერთიფიკატი	120 კრედიტი	პარალელური	უნივერსიტეტი	სამ. გან. სერთიფიკატი	160 კრედიტი	პარალელური	უნივერსიტეტი	სამ. გან. სერთიფიკატი	160 კრედ. + 45 კვირა განათ. დარგში	პარალელური
9.	მოსკოვი	პედაგოგიური უნივერსიტეტი	სამ. გან. სერთიფიკატი	4-5 წელი	-	პედაგოგიური უნივერსიტეტი	სამ. გან. სერთიფიკატი	5 წელი	-	უნივერსიტეტი	სამ. გან. სერთიფიკატი	744 სთ + 10 კვირა პრაქტიკა	პარალელური

მასწავლებელთა განათლების სისტემა დანიაში

სკოლის წლები სკოლის ტიპი	12	13	14	15	16	17	18	19
დაწყებითი/დაბალი საშუალო (6-16)	â							
მაღალი საშუალო (16-19)	â							



პროფესიონალური მომზადება



სწავლების პრაქტიკა




მომზადება საგნებში

წყარო - ATEE-GUIDE TO INSTITUTIONS OF TEACHER
EDUCATION IN EUROPE (AGITE)

FRIEDRICH BUCHBERGER (ED.)

მასწავლებელთა განათლების სისტემა ბელგიაში


















სკოლის წლები სკოლის ტიპი	12	13	14	15	16
სკოლამდელი (3-5)	â				
დაწყებითი (6-12)					
დაბალი საშუალო (12-16)	â				
მაღალი საშუალო (14-18)	â				
ტექნიკური და პროფესიონალური განათლება (12-18/19)	â				
ტექნიკური და პროფესიონალური განათლება (12-18/19)	â				







წყარო - ATEE-GUIDE TO INSTITUTIONS OF TEACHER
EDUCATION IN EUROPE (AGITE)

FRIEDRICH BUCHBERGER (ED.)


























მასწავლებელთა განათლების სისტემა ავსტრიაში





სკოლის წლები სკოლის ტიპი	12	13	14	15	16	17	18
დაწყებითი/ Grundschule (6-10)	â						
დაბალი საშუალო/ Hauptschule Polytechnischer Lehrgang (11-14/15)	â						
დაბალი და მაღალი საშუალო Mittlere und Hohere Schulen (11-14, 15-17, 18, 19)	â						
სპეციალური განათლება Sonderschule (6-14)	â						
სავალდებულო პროფესიონალური განათლება Berufsschule (16-18/19)			â				

-  პროფესიონალური მომზადება
-  სწავლების პრაქტიკა
-  მომზადება საგნებში
-  სტაჟირება

წყარო - ATEE-GUIDE TO INSTITUTIONS OF TEACHER
EDUCATION IN EUROPE (AGITE)
FRIEDRICH BUCHBERGER (ED.)

მასწავლებელთა განათლების სისტემა ინგლისსა და უელსში

სკოლის წლები სკოლის ტიპი	13	14	15	16	17	18
დაწყებითი/ Grundschule (6-10)	â					
დაბალი საშუალო/ Hauptschule პოლტექნიკისკერ ლეჰრგანგ (11-14/15)	â					
დაბალი და მაღალი საშუალო Mittlere und Hohere Schulen (11-14, 15-17, 18, 19)	â					
სპეციალური განათლება Sonderschule (6-14)	â					
სავალდებულო პროფესიონალური განათლება Berufsschule (16-18/19)	â					
	â					

-  პროფესიონალური მომზადება
-  სწავლების პრაქტიკა
-  მომზადება საგნებში
-  სტაჟირება

წყარო - ATEE-GUIDE TO INSTITUTIONS OF TEACHER
EDUCATION IN EUROPE (AGITE)

FRIEDRICH BUCHBERGER (ED.)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. თავზიშვილი. რჩეული ნაწერები, 3 ტომი, თბ., 1974
2. ს. სიგუა. სახალხო განათლება რევოლუციამდელ საქართველოში, თბ., 1969
3. ქართული პედაგოგიკის ისტორია. გ. სიხარულიძის რედაქტორობით, თბ., 1974
4. ს. ჯორბენაძე. თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია, თბ., 1988
5. Fridrich Buchberger. Some Remarks on the Current State of Teacher Education in European Union-Helsinki, 1996
6. ფრიდრიხ ბუხბერგერი. ევროგაერთიანებაში მასწავლებელთა განათლების პოლიტიკა – კრიტიკული ანალიზი და ძირითადი საკითხების ანალიზი, 2000
7. TNTEE Publication, Volume 2, N2, December 1999 – Teacher Education in Europe in the late 1990 s
8. Диалоги об образовании. Российский и Шведский язык. Серия учебники для вузов. Специальная литература, 1999
9. Педагогическая Энциклопедия. М.,1966.

მიღებულია: 12.07.02